ხელოვნური ინტელექტის გავლენა ლექსიკურ ინოვაციებზე თანამედროვე ინგლისურ ენაში

ანაჰიტ დილბარიან

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნიერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

(სამაგისტრო პროგრამა: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო გულიაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიელი ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანაჰიტ დილბარიან

06.06 2026

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი შეისწავლის ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის გავლენას თანამედროვე ინლისური ენის ლექსიკურ და სემანტიკურ განვითარებაზე ინგლისურენოვანი მედია-დისკურსის მაგალითზე. ხელოვნური ინტელექტის სწრაფმა გავრცელებამ წარმოშვა ახალი ტექნოლოგიური ცნებების, დასახელების საჭიროება და, ამავდროულად, ხელი შეუწყო უკვე არსებული სიტყვების ახალი, სპეციალიზებული მნიშვნელობებით გამოყენებას. კვლევის მიზანია გამოავლინოს, როგორ ფორმირდება ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული ლექსიკა, რომელი სიტყვათწარმოქმნის მექანიზმები მონაწილეობს მის შექმნაში და როგორ ხდება არსებული ლექსიკური ერთეულების სემანტიკური გარდაქმნა თანამედროვე ახალი ამბების დისკურსში.

კვლევა ეფუძნება თვისებრივ, კორპუსზე ორიენტირებულ მიდგომას. ემპირიულ მასალას წარმოადგენს 2023-2026 წლებში გამოქვეყნებული ინგლისურენოვანი მედია-ტექსტები, რომლებიც ხელოვნური ინტელექტის თემატიკას ეხება. ლექსიკური ერთეულების ანალიზი ეყრდნობა სიტყვათწარმოების თეორიებს, ხოლო სემანტიკური და დისკურსული ანალიზი — ლექსიკურ სემანტიკისა და კონცეპტუალური მეტაფორის თეორიულ მიდგომებს.

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ მედია-დისკურსი არა მხოლოდ ასახავს ხელოვნური ინტელექტის სფეროში მიმდინარე ცვლილებს, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალი ტერმინების გავრცელებასა და საზოგადოებრივ ნორმალიზაციაში. ამგვარად, ხელოვნური ინტელექტთან დაკავშირებული დისკურსი წარმოაჩენს თანამედროვე ინგლისური ენის დინამიკურ და ადაპტაციურ ბუნებას, რომლის ფარგლებში ტექნოლოგიური ცვლილებები უშუალოდ აისახება ლექსიკურ და სემანტიკურ განვითარებაზე.

საკვანძო სიტვები: ხელოვნური ინტელექტი, ლექსიკური ინოვაცია, სიტყვათწარმოქმნა, სემანტიკური გადანაცვლება, მედია-დისკურსი.

Abstract

This master's thesis examines the influence of terminology related to artificial intelligence on lexical and semantic development of contemporary English, using English-language media discourse as its analytical context. The rapid expansion of artificial intelligence has created a need to name new technological concepts and, at the same time, has encouraged the use of existing words with new, specialized meanings. The aim of the study is to how AI-related vocabulary is formed, which word-formation mechanisms participate in its creation, and how existing lexical units undergo semantic transformation in contemporary news discourse.

The study is based on a qualitative, corpus-oriented approach. The empirical material consists of English-language media texts published between 2023 and 2026 that focus on artificial intelligence. The analysis of lexical units draws on theories of word formation, while the semantic analysis is grounded in theoretical approaches to lexical semantics and conceptual metaphor.

The findings indicate that media discourse not only reflect ongoing developments in the field of artificial intelligence, but also plays an important role in the dissemination and public normalization of new terminology. Thus, AI-related discourse demonstrates the dynamic and adaptive nature of contemporary English, within which technological developments are directly reflected in lexical and semantic change.

Keywords: artificial intelligence, lexical innovation, word formation, semantic shift, media discourse